

ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32
	პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32 სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	info@bsu.edu.ge ტელ.: +995 (422) 27 17 87
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	მერაბ ხალვაში, ტელ.: 577-17-97-55. ელფოსტა rector@bsu.edu.ge
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	მადონა მიქელაძე, ტელ.: 57714 10 11, ელფოსტა: madona.mikeladze@bsu.edu.ge


ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; ინგლისური ენა; გერმანული ენა; რუსული ენა; ფრანგული ენა; ფიზიკა; ბიოლოგია; ქიმია; გეოგრაფია; ისტორია; სამოქალაქო განათლება; სპორტი; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	№ 4, 17/03/2016
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	50
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართი 1

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები

1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2150	5	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	არგუმენტირებული ესსე	
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	4	2150	4	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	არგუმენტირებული ესსე	
3	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	6	2250	5	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
4	გერმანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
5	რუსული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
6	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
7	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
8	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
9	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	4	გეოგრაფია	არგუმენტირებული ესსე	
10	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2150	5	ისტორია	არგუმენტირებული ესსე	
11	სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	7	2250	5	სამოქალაქო განათლება	არგუმენტირებული ესსე	
12	სპორტი	4	1850	5	სპორტი	არგუმენტირებული ესსე	
13	სახვითი და გამოცენებითი ხელოვნება	3	1900	3	სახვითი და გამოცენებითი ხელოვნება	არგუმენტირებული ესსე	
14	ფრანგული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	1	2250	2	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
		50		50			

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით



[Handwritten signature]
ხელმოწერა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი საბაზოდასაშუალოსკოლისსაგნისმასწავლებლის მომზადება და განათლების სისტემაში არსებული კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრა. პროგრამისგავლისშედეგადკურსდამთავრებულებიდაეუფლებიან მასწავლებლობისათვის აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ღირებულებებს, საგნის სწავლების დიდაქტიკას, შეძლებენ განახორციელონ მოსწავლეებისათვის ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად ხარისხიანი განათლების მიცემა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე, ჩაერთოს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებთან, რესურსცენტრებთან და სხვა დამსაქმებლებთან.

პროგრამის გავლის შედეგად მისაღწევი შედეგები და კომპეტენციები:

კრიტერიუმები	კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	1. გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; 2. იცის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები; 3. აქვს პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება; 4. იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები; 5. იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; 6. იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; 7. იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	1. შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; 2. შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით; 3. შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; 4. შეუძლიასწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; 5. შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება; 6. შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; 7. აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; 8. აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი.
დასკვნის უნარი	1. საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე შეუძლია ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოყალიბება; 2. შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	1. შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

	- შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; - აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	- აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; - შეუძლიასაკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
ღირებულებები	- იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; - ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას; - აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.